ქართული ქრონიკა

№ 37

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი

10 მაისი 1989

გამოდის 1988 წლის 10 მაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენი გაზეთის დაარსების წლისთავია!

გარდაქმნის სახე: ქიმიური იარაღი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ

თბილისი, 9 აპრილი – მშვიდობიან დემონსტრანტთა დასარბევად გადასროლილი სამხედრო ფორმირებანი მომწამლავ გაზებს იყენებენ. ეს არც პირველი მსოფლიო ომია და არც ირან-ერაყის ომი. ეს მშვიდობიანი დროა, "გარდაქმნის" ეპოქა. არაფერი მსგავსი არ მახსენდება "უძრაობის" ხანიდან. ციხეებსა და ბანაკებში ფართოდ გამოიყენება ცრემლსადენი გაზი "ჩერიომუხა" პატიმართა წინააღმდეგ. მახსოვს, იაკუტიაში, ტაბაგის მახლობლად, მას ოფიცერთა განკარგულებით როგორ გვაყრიდნენ "შიზო"-ს საკანში "ხლორკას", შემდეგ კი ვედროთი წყალს ასხამდნენ. მაგრამ ეს განკიცხულთა წინააღმდეგ, ახლა კი მშვიდობიან მოქალაქეთა მისამართით, და თან, როგორც საქართველოს ჯანმრთელობის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, გამოყენებული იქნა არა მარტო ცრემლსადენი, არამედ ნერვო-პარალიტიკური გაზებიც. არის მსხვერპლი. ჩვენი მონაცემების თანახმად, მხოლოდ 17 აპრილისათვის თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოს გაზით მოწამვლის ჩივილით მიაკითხა 436 ადამიანმა. დღეისათვის მათმა რიცხვმა უკვე 500-ს გადააჭარბა. მინისტრმა დაასახელა ორი დაღუპული...

კი მაგრამ, რა ხდება? საბჭოთა კავშირს თვით მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ დაურღვევია 1925 წლის ჟენევის კონვენცია, რომელიც კრძალავს ქიმიური იარაღის გამოყენებას. მაშ რატომ არ იცავს იგი ამ კონვენციას საკუთარ მოქალაქეთა წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომში? იქნებ იმიტომ, რომ ნაცისტებს შეეძლოთ მძლავრი ქიმიური დარტყმით ეპასუხათ, ხოლო მშვიდობიანი ქართველი მოქალაქენი ამ შესაძლებლობას მოკლებული იყვნენ?

ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც, როგორც ჩანს, არ ელოდა ასეთ ძლიერ საზოგადოებრივ რეაქციას, გამალებით ქმნის ისეთ სურათს, თითქოს მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ამ სამხედრო დანაშაულთან მშვიდობიან ხანაში. მთავარმა სამხედრო პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ცრემლსადენი გაზის გამოყენების ფაქტის არსებობის საფუძველზე, ამასთან, იქვე განაცხადა, რომ არანაირი სხვა სახის გაზი გამოყენებული არ ყოფილა. ხელისუფლების მორჩილი ტრიბუნალი, ალბათ, მალე იპოვის დამნაშავეს – ვინმე სერჟანტს, რომელმაც თავი მოხსნა გაზის ბალონს. სახელმწიფოს მეთაურებმა, ორკვირიანი ბჭობის შემდეგ, განაცხადეს, რომ არაფერი არ იცოდნენ ამ აქციის მზადების შესახებ. განა ეს შესაძლებელია? მდგომარეობის გამწვავება თბილისში 4 აპრილს დაიწყო, და უმაღლეს ხელმძღვანელობას სისხლიან დარბევამდე მთელი 5 დღის განმავლობაში თურმე წარმოდგენა არ ჰქონდა შექმნილ სიტუაციაზე! გორბაჩოვის რეპუტაციის გადარჩენის ეს უკანასკნელი უსუსური მცდელობა მხოლოდ მათზე თუ მოახდენს შთაბეჭდილებას, ვინც შეგნებით ხუჭავს თვალებს სიმართლეზე და დღევანდელი საბჭოთა რეჟიმის ჭეშმარიტი არსისაგან თავდაცული ნეტარ გაუგებრობაში იმყოფება. ასეთები ცოტანი არ არიან. საინტერესოდ ერწყმის საერთო გუნდში ერთმანეთს მინისტრ შევარდნაძის განცხადება, რომ თურმე გორბაჩოვი უფლებამოსილი არ ყოფილა ჯარების ამა თუ იმ რეგიონში გაგზავნის (თბილისი, კინოს სახლი, 12 აპრილი) და აკადემიკოს სახაროვის სიტყვები, რომ გორბაჩოვმა, რა თქმა უნდა, არაფერი არ იცოდა მომხდარი ფაქტის შესახებ (მოსკოვი, მიტინგი ქართულ კულტურულ ცენტრთან, 16 აპრილი). ყველა რანგის დისციპლინირებული საბჭოთა მომსახურე თუ მათი ლალი, მოხალისე თანაშემწენი ერთსულოვნად ცდილობენ, როგორმე გადაარჩინონ გორბაჩოვისა და "გარდაქმნის" რეპუტაცია – ერთნი სამსახურეობრივი მოვალეობის ძალით, მეორენი – ყოვლისმხსნელი თავისი თავის მოტყუებისათვის. მართლაც, როგორ შეერწყმის ერთმანეთს მიმდინარე "დემოკრატიზაციაზე" ვარდისფერი ოცნებები და თბილისის ცენტრალური მოედნის სისხლისაგან გაწითლებული ასფალტი? ან უმაღლესი ხელისუფლების სისასტიკე და დანაშაულებრიობა უნდა აღიარო, ანდა თავი მოიტყუო – თითქოს დაიჯერე (და სხვებიც დააჯერო) ზღაპარი კარგ გენერალურ მდივანზე, რომელმაც არაფერი არ იცოდა.

რა ხდება? ჩვენი საზოგადოების შიგნით სსრკ-ს ისტორიისათვის ჩვეული ფენებად დაშლა. მას სპეცრაზმები თავს არ დასხმიან 16 აპრილს მოსკოვში ქართულ კულტურულ ცენტრთან გამართულ არასანქციონირებული მიტინგის მონაწილეებს, მიტინგისა, რომელიც გზადაგზა ამართლებდა "არაინფორმირებულ" გორბაჩოვს და "ნაციონალური საკითხების გადაწყვეტაში კომპრომისისკენ" მოუწოდებდა. იმავე სპეცრაზმებმა კი სასტიკად დაარბიეს 23 აპრილს მოსკოვში პუშკინის მოედანზე გამართული დემოკრატიული კავშირის არასანქციონირებული მიტინგი, რომელმაც ყველაფერს თავისი სახელი უწოდა.

როგორ უყურებს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას დასავლეთი? ჩვენამდე მოღწეული პრესისა და რადიოს კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, დასავლეთი უფრო "გარდაქმნის" "გადარჩენის" პოზიციისაკენ იხრება. სამხედროების მიერ მშვიდობიან დემონსტრანტთა ხოცვა ხშირად წარმოდგენილი იყო, როგორც "ერთაშორისი კონფლიქტი", "მღელვარებანი", "არეულობა". აფხაზთა და ქართველთა შორის ერთაშორისი კონფლიქტის გათამაშების სცენარზე თვით საბჭოთა ხელისუფლებამ განაცხადა უარი თბილისის მოვლენების პირველივე დღეებში; მიუხედავად ამისა, დასავლეთის პრესა დიდი ხნის განმავლობაში ვერ თმობდა ამ თემას – ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ეს ყველაზე მარტივად ხსნის ყოველივეს, რაც თბილისში მოხდა, ან არა და, იმის გამო, რომ ასეთი ახსნა საშუალებას იძლევა, დასავლეთის მკითხველს საბჭოთა "გარდაქმნისადმი" კარგი დამოკიდებულება შეუნარჩუნოს. თბილისის ტრაგედიის "არეულობად" ან თუნდაც "ნაციონალისტურ არეულობად" მონათვლა უდიდესი ცოდვაა ჭეშმარიტების წინაშე. ქალაქის ცენტრში მოშიმშილე დემონსტრანტებს საზოგადოებრივი წესრიგი არ დაურღვევიათ. უფრო მკაცრად რომ ვთქვათ, უწესრიგობა საერთოდ არ ყოფილა. მოშიმშილეთა მანიფესტაცია სავსებით მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, ასევე მოწესრიგებულად ჩატარდა სამხედრო-დამსჯელი აქციაც – მშვიდობიან მოქალაქეთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. თბილისის ტრაგედიის "არეულობად" წარმოჩენა გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს, მაშინ, როცა დღესავით ნათელია, რომ მთელი პასუხისმგებლობა სისხლისღვრაზე საბჭოთა ხელისუფლების მხრებზეა. ხომ არ არის ეს რამდენადმე შენიღბული მცდელობა იმისა, რომ მოვლენათა სიმწვავის განელების გზით ხელისუფლებას მოეხსნას პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი და იგი დაზარალებულ მხარეს დაეკისროს?

მაშ ასე, სახეზეა "გარდაქმნის" კიდევ ერთი ილუსტრაცია. სამხედრო ძალა დემონსტრანტთა წინააღმდეგ. მომწამლავი გაზები მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ. გორბაჩოვი ნათლად მიუთითებს, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა მის გარდაქმნად იმპერიაში. მათთვის, ვინც ამას ვერ ხედავს და პროპაგანდისტული ახსნა-განმარტებებით კმაყოფილდება, ჩვენი რჩევა იქნება: " შეხედეთ "გარდაქმნას" იმ მშვიდობიან მოქალაქეთა თვალებით, რომელთაც ხოცავდნენ 9 აპრილს თბილისის ცენტრში, მათი თვალებით, ვინც საკუთარ სახელმწიფოში საკუთარი არმიის მიერ გამოყენებული ქიმიური იარაღის მსხვერპლი გახდა".

ალექსანდრე პოდრაბინეკი
("ექსპრეს-ქრონიკის" რედაქტორი).

ავადმყოფთა მდგომარეობის შესახებ...

დღითიდღე იზრდება 9 აპრილსა და მის შემდგომ გაზით დაწამლულთა სტაციონარებში მოთავსების შემთხვევების რაოდენობა. ავადმყოფთა დიდი ნაწილის მდგომარეობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ბევრი მათგანი სარეანიმაციო განყოფილებებში იმყოფება. ქართველ ექიმთა მაქსიმალური მონდომებისა და დაძაბვის მიუხედავად, ავადმყოფთა მდგომარეობა მკვეთრად გაუარესებულია. მკურნალობის უშედეგობა გამოწვეულია იმით, რომ იგი ფაქტიურად ბრმად მიმდინარეობს – არ არის დასახელებული გამოყენებულ მომწამლავ ქიმიურ ნივთიერებათა შემადგენლობა (ალბათ, ქიმიურ ნივთიერებათა შემადგენლობის საიდუმლოდ შენახვაც გორბაჩოვისა და "გარდაქმნის" "უჩუმრად" ხდება). ამასთან დაკავშირებით თბილისის №2 საავადმყოფოში 22 აპრილს დაიწყო ავადმყოფთა შიმშილობა შემდეგი მოთხოვნებით:

1. დაასახელონ 9 აპრილს დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები და მათი შემადგენლობა;
2. კვლევისა და მკურნალობისათვის მოწვეულ იქნან უცხოელი სპეციალისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილობა გამოცხადდება უვადოდ.

ამის საპასუხოდ ჯანმრთელ პატრიოტთა რამდენიმე ჯგუფმა გამოაცხადა შიმშილობა ანალოგიური მოთხოვნებით. მათ ექიმებმა გამოუყვეს სპეციალური პალატები თბილისის №2 საავადმყოფოში, აგრეთვე თბილისის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფები იმყოფებიან. ავადმყოფთა შიმშილობა შეწყდა. ყოველივე ამის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა წითელი ჯვრის ვიცე-პრეზიდენტი ბენედიქტოვი (ავადმყოფთა მოთხოვნაში საბჭოთა სპეციალისტთა მოწვევა არ ყოფილა). მას ავადმყოფთა ნათესავებისა და ახლობლების გარდა შეხვდა და ესაუბრა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ირინა სარიშვილი. ამ საუბრიდან ნათელი გახდა, რომ ბ-ნი ბენედიქტოვის ფუნქციები მხოლოდ ავადმყოფთა "მოკითხვით" შემოიფარგლებოდა. მისივე განცხადებით, მან არ იცოდა მომწამლავი ნივთიერების არც სახელწოდება, არც შემადგენლობა და არც მისი დასახელების მოთხოვნას აპირებდა სათანადო პირთა მისამართით, ამასთან, ბენედიქტოვმა უარყო ნივთიერების შემადგენლობის ცოდნის გარეშე ეფექტური მკურნალობის შესაძლებლობა. ირინა სარიშვილის კითხვაზე, თუ რა აზრი ჰქონდა ასეთ შემთხვევაში მის ჩამობრძანებას თბილისში, მან უპასუხა: "განვიხილავთ მკურნალობის შემდგომ შესაძლებლობებს"(?!), ბოლოს კი ანერვიულებულმა ისტერიულად დაიწყო მტკიცება იმისა, რომ იგი (ისევე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირი – რედ. შენ.) მშვიდობის მომხრეა, კატეგორიული წინააღმდეგია მოსახლეობის მიმართ ქიმიური იარაღის გამოყენების. ამ განცხადებით, რასაკვირველია, ავადმყოფთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ავადმყოფთა ნათესავთა და ქართველი საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნით ბენედიქტოვმა თანხმობა განაცხადა, დაკავშირებოდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ლიგის პრეზიდენტს. ანალოგიური მისამართით ავადმყოფთა და მათი ნათესავების მიერ გაიგზავნა მიმართვა:

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის
საერთაშორისო ლიგის პრეზიდენტს

ბატონო პრეზიდენტო!

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, თბილისში 9 აპრილის მშვიდობიანი მიტინგის უმაგალითო რბევის დროს სამხედრო ნაწილების მიერ გამოყენებული ქიმიური საშუალებებით დაზარალებულნი და მათი ოჯახის წევრები, მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ უშუალო მონაწილეობა დაავადებულთა განკურნების საქმეში.

ჩვენი მიმართვის მიზეზები შემდეგია:

1. იმის გამო, რომ სამედიცინო-საექსპერტო კომისია ვერ ახერხებს ქიმიური საშუალებების რაობის დადგენას, ჩვენი მკურნალობა ალბათურია და არ იძლევა სრული გამოჯანმრთელების გარანტიას;
2. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ლიგა ვალდებულია, უშუალო შთაბეჭდილებების საფუძველზე, მთელი კაცობრიობის წინაშე გამოხატოს თავისი პოზიცია აღნიშნული რბევის აქციასა და მისი განხორციელების ხერხებსა და საშუალებებთან დაკავშირებით, რათა მსგავსი რამ არსად და არასდროს აღარ განმეორდეს.

თქვენი მოღვაწეობა იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ ეს მოვალეობა თქვენთვის ძალზე ძვირად ფასობს.

……

ამერიკული ტელეკომპანიის "სნნ"-ის წარმომადგენლებმა, თბილისის №2 საავადმყოფოში ყოფნის დროს, ინტერვიუ აიღეს 9 აპრილის აქციის შედეგად საავადმყოფოში მოთავსებული 34 წლის ნინო ონიანისაგან, რომლის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. ცემითა და **ხელკეტებით** მიყენებული ჭრილობების გარდა მას მოწამვლის სინდრომებიც აქვს. ტელეკომპანიის წარმომადგენელთა წასვლის შემდეგ ნინოსთან პალატაში შეიჭრნენ უცნობი პირები, რომლებიც მას ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ.

……

სარეცლს მიჯაჭვულ ავადმყოფთა თხოვნით საქართველოს ტელევიზიამ 29-30 აპრილის აღდგომა-ღამეს გადმოსცა პირდაპირი რეპორტაჟი სიონის კათედრალური ტაძრიდან. ავადმყოფთა გვერდით ამ ღამეს იმყოფებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დიდი ნაწილი, სამღვდელოების წარმომადგენლები.

……

29-30 აპრილის აღდგომა-ღამეს თბილისის №1 იზოლატორის წინ[illegible], სადაც მოთავსებული არიან ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, შეიკრიბა ქართველ პატრიოტთა დიდი ჯგუფი, რომელმაც ეს უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული ქუჩიდან მიულოცა საბჭოთა იმპერიის ციხეში გამომწყვდეულ ყველა პატიმარს.

……

ინფორმაცია... ინფორმაცია...

9 აპრილის ტრაგედიიდან 40 დღის გასვლის – 19 მაისის სამგლოვიარო აქციის შემდეგ, ქართველ პოლიტპატიმართა გაუთავისუფლებლობის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტის მიერ 21 მაისს დაგეგმილია ერთდღიანი საპროტესტო გაფიცვა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. მოთხოვნა: თავისუფლება ქართველ პოლიტპატიმრებს! მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში 21 მაისის საპროტესტო მიტინგზე, რომელიც გაიმართება რესპუბლიკური პროკურატურის შენობის წინ, დასახელდება გრძელვადიანი გაფიცვის დასაწყისის დღე.

მთ. რედაქტორი ირინა სარიშვილი ტ: 39-79-18